



Junior Achievement Georgia

სტარტაპერის პრაქტიკული საგადასახადო გზამკვლევი

მცირე მეწარმის გადასახადები და ვალდებულებები

ქეისის ავტორი: ინგა გეგეშიძე

რედაქტორი: გიორგი ჭილაძე

პროექტი: აღმშენებლობა სოციალური მეწარმეობით

აქსელერატორ_X | სოციალური მეწარმეობის პროგრამა

აქსელერაციის პროგრამის, ეს სასწავლო მასალა, მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ დოკუმენტის შინაარსი მთლიანად „Junior Achievement Georgia“-ს პასუხისმგებლობაა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველად.

2025



ქეისის გამოყენების წესი

ამ ქეისის განხილვის შემდეგ მსმენელები შეძლებენ თავად შეავსონ მცირე მეწარმის დეკლარაცია და გაიგონ, როგორ უნდა მართონ თავიანთი გადასახადები სწორად.

სასწავლო მიზნები:

- ✓ მცირე მეწარმის საგადასახადო რეჟიმის გაცნობა
- ✓ RS.ge პლატფორმის გამოყენება - დეკლარაციის შევსება
- ✓ მცირე მეწარმის ვალდებულებები გადასახადების გადახდისას
- ✓ არადეკლარირებული და გადაუხდელი გადასახადების შესაძლო შედეგების ახსნა

მცირე ბიზნესისთვის დადგენილი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან გარდა იმ შემოსავლებისა, რომლებიც „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“

▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი **იბეგრება 1 პროცენტით.**

▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი **იბეგრება 3 პროცენტით**, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა დასაბეგრმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში **500 000 ლარს** გადააჭარბა (გადაჭარბების თვის დასაწყისიდან იმავე კალენდარული წლის ბოლომდე).

სიტუაცია:

ნინო კალანდაძე 27 წლის მეწარმეა, რომელიც ხელნაკეთ ჩანთებს და აქსესუარებს ამზადებს. მისი ბიზნესი ინტერნეტით, სოციალური ქსელებისა და მცირე შოურუმის საშუალებით აწარმოებს გაყიდვებს. ნინო მუშაობს ინდივიდუალური მეწარმის (ი/მ) სტატუსით და რეგისტრირებულია მცირე მეწარმის საგადასახადო რეჟიმში, რადგან მისი წლიური ბრუნვა არ აღემატება 500,000 ლარს.

- ნინოს თვიური ბრუნვა 8,000 ლარია
- მას არ ჰყავს დაქირავებული თანამშრომლები და ერთპიროვნულად მართავს ბიზნესს.

თუ მცირე მეწარმე თვითდასაქმებულია და არ დასაქმებს სხვა პირებს, ის არ მონაწილეობს საპენსიო შენატანების სისტემაში, რადგან არ აქვს "დასაქმებული" სტატუსი. თუმცა მას შეუძლია საკუთარი არასავალდებულო წესით გააკეთოს საპენსიო შენატონები.

გადასახადების გაანგარიშება:

ბრუნვა თვეში: 8,000 ლარი

მცირე მეწარმის გადასახადი: $8,000 \text{ ლარი} \times 1\% = 80 \text{ ლარი}$

ბიუჯეტში გადასახდელი თანხა: 80 ლარი

ნინო ვალდებულია გადასახადი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე გადაიხადოს და დეკლარაცია შეავსოს RS.ge-ზე.

ნინოს ვალდებულებები:

- ნინოს არ ჰყავს თანამშრომლები, ამიტომ ხელფასებთან დაკავშირებული გადასახადები არ აქვს.



- თუ წინოს ბრუნვა გადაჭარბებს 500,000 ლარს, მას ავტომატურად შეეცვლება დაბეგვრის რეჟიმი.

გადასახადის გადაუხდელობის შედეგები:

თუ წინო არ გადაიხდის გადასახადს ვადაში:

დაეკისრება 10%-იანი ჯარიმა.

დაერიცხება ყოველდღიური საურავი – გადაუხდელი თანხის 0.05% დღეში.

თუ ბრუნვა გადაჭარბებს 500,000 ლარს

წინო ავტომატურად გადადის ზოგად საგადასახადო რეჟიმზე, რაც ნიშნავს:

გადასახადი 1%-დან გაიზრდება 3%-მდე;

ან დაეკისრება საშემოსავლო გადასახადი 20%,


დეკლარაციის შევსება RS.ge-ზე:

დეკლარაციის შევსება საქართველოს საგადასახადო სისტემაში არის პროცესი, რომლის დროსაც კომპანიის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ დასაშვებ გადასახადებზე ინფორმაცია უნდა შეივსოს და წარსდგეს საგადასახადო სისტემაში.

ნაბიჯები:

- ✓ შედით RS.ge-ზე.
- ✓ შეიყვანეთ თქვენი ID ნომერი და პაროლი.
- ✓ აირჩიეთ შესაბამისი მოდული, სადაც დეკლარაცია უნდა შეავსოთ

RS.ge-ზე შესვლის შემდეგ, მეწარმემ უნდა შევსოს დეკლარაცია იმ თვის მიხედვით, რომლისთვისაც გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს. თითოეული თვის დეკლარაციაში ასახულია დასაბეგრი ბრუნვა, გადასახადის განაკვეთი და გადასახდელი თანხა.



მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის ნაწილში საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენა ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამავდროულად ხორციელდება შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდა. ამასთან, თუ აღნიშნული თარიღი არასამუშაო დღეს ემთხვევა, დეკლარაციის წარმოდგენის და გადასახადის გადახდის ბოლო ვადა გადაინეწეს შემდეგი სამუშაო დღის დასრულებამდე.

1. სისტემაში შესვლა (ID და პაროლი)

საანგარიშო ცენტრი
2 299 299
English Version

სერვისების კოლცენტრის დახმარება

INFOBUS



2. მცირე მეწარმის დეკლარაციის შევსება

ვირჩევთ
„მცირე
მეწარმის
საშემოსავლო
გადასახადი“
და ვიწყებთ
დეკლარაციის
შევსებას

სამსახური: გაგონიერა 61001024373

მომხმარებელი: სესხის გათიშვამდე დარჩა: 59:47

დეკლარაცია

ბოლო დეკლარაციები დეკლარაციების რევერტი გადასახადის დეკლარაციები

ბეჭდვა

გადასახადი	სარეგისტრაციო N	დარიცხვა	შემოწმება	პერიოდი	მომხმარებელი	წარმდგენის თარიღი
მცირე ბიზნესის ყოველთვიური დეკლარაცია	58P24810464	0	0	202501	gegeshidze1	13.02.2025 16:21
ნაღ - სოფ. და საშ. გად. წლიური დეკლარაცია	50B4A300133	0	0	2010		31.03.2011 17:08

დეკლარაცია

სტატუსები

- ყოველთვიური
 - აქციები
 - გაუდასახადებელი დღე
 - ბუნებრივი რესურსების მოსაგროვებლის გამგებარეობა
 - საშემოსავლო (გადასახადის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადი)
 - საშუალო დანართი 7
 - მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადი
 - ხე-ტყე ანუ დანართი 3
 - საშემოსავლო (ქონების/ აქციების მიწოდებაზე)
 - ინფორმაცია სსკ-ის 161(176) მუხლის შესაბამისად დღე-ღამე დაბეგვრის შესახებ
 - ინფორმაცია განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ (მეფლი ფორმა)
- კვარტალური
- ყოველწლიური
- ლიცენზიებით
- ლიცენზიებით(ახალი)

3. დეკლარაციის შესავსებად საჭიროა ბრუნვის მითითება (8000 ლარი)

4. გადასახადის გაანგარიშება

თვე	ბრუნვა (ლარი)	გადასახადის განაკვეთი	გადასახდელი თანხა (ლარი)
იანვარი	8,000	1%	80

5. დეკლარაციის გაგზავნა

გთხოვთ იხილონ: <https://www.youtube.com/watch?v=nGMQMljHEg0>

გადასახადების გადახდის ძირითადი მეთოდები:

- ✓ ინტერნეტ-ბანკინგით – ნებისმიერი ბანკის საშუალებით, ონლაინ გადარიცხვით.
- ✓ საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე – პირდაპირი გადარიცხვით შესაბამის საბანკო ანგარიშზე.
- ✓ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) – ავტორიზაციის შემდეგ შესაძლებელია გადასახადის გადახდა.
- ✓ ბანკების ფილიალებში ან სწრაფი გადახდის ტერმინალებით – სადაც ხელმისაწვდომია სახელმწიფო გადასახადების გადახდის სერვისი.